

ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N5/ საცხოვრებელი სახლის
N32 ბინაზე, მოქალაქე ამირან ხარებავასათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამი განხილული იქნა მოქალაქე ამირან ხარებავას წარმომადგენლის ცისანა რაზმაძის განცხადება /2012 წლის 13.01 Nრ-378/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N5/ საცხოვრებელი სახლის N32 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე ამირან ხარებავას სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღვილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღვილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N5/ საცხოვრებელი სახლის N32 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ამირან ხარებავას.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N5/ საცხოვრებელი სახლის N32 ბინაზე /საერთო ფართობი 29,89 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 16,70 კვ.მ, დამხმარე ფართობი 12,89 კვ.მ./ მოქალაქე ამირან ხარებავას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე